ხელშეკრულება № 7

ქ. ქობულეთი 12 თებერვალი 2016წ.

შესყიდვების შესახებ

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა, (მის: ქობულეთი აღმაშენებლის 267) მისი დირექტორის ზურაბ კახიძის სახით, შემდგომში " შემსყიდველი " და მეორეს მხრივ ი/მ „ნუგზარ ჯინჭარაძე " (მის: ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 2) სახით, შემდგომში " მიმწოდებელი " დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის ოფისის ხარჯიდან, სამეურნეო საქონელის (შენობა ნაგებობის მიმდინარე შეკეთება) შესყიდვა.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა მიაწოდოს „შემსყიდველს", სამეურნეო საქონელი (კოდი CPV -31500000, 44100000, 44300000, 4490000), ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, საბიუჯეტო სახსრებით.

1.3. მთლიანი სახელშეკრულებლო თანხა შეადგენს 450 (ოთხასორმოცდაათ) ლარს.

1.4. შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა № 3 –ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. "საქონელი" ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის და მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის სპეციალისტი სამეურნეო დარგში ვახტანგ ქობულაძე.

2.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლაო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3. ანგარისწორება

3.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებულ საქონელზე სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.

3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

4. სადაო საკითხების გადაწყვეტა

4.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

4.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

5. გამოყენებული სამართალი

5.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გახრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 მარტის ჩათვლით.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან და ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

10. გადასახადები და ბაჟები

10.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა ს/კ: 247007135 სახელმწიფო ხაზინა დირექტორი: /ზ. კახიძე /	ი/მ „ნუგზარ ჯინჭარაძე " ს/კ: 61004004824 ა/ნ: **GE21PC0073600100011678** სს „პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი: **MIBGGE22** ი/მ /ნ.ჯინჭარაძე/

ინფორმაცია

რაოდენობისა და ფასების შესახებ

ფორმა № 3

შენობა ნაგებობის მიმდინარე რემონტის ხარჯი

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	ლით.კარი , გარე გაღება, მარჯვენა	ცალი	1	290	290 ლარი
2	მავთულის ბადე 1.8*60	კგ.	12.8570	7	90 ლარი
3	ლურსმანი 8 სმ -იანი	კგ.	2	2,5	5 ლარი
4	ეკო ნათურა 27E18W	ცალი	5	5	25 ლარი
5	ლითონის ბაგირი	მეტრი	10	3	30 ლარი
6	სამშენებლო კირი 25კგ.ტომარა	ცალი	1	10	10 ლარი
	სულ-				450 ლარი

ი/მ - „ნუგზარ ჯინჭარაძე "